383/
976/2

პროლეტარიატის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (428)

1976 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 9 (428) სექტემბერი 1976 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. მ. ჩიქვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

159. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე

განყოფილება მეორე

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ხომერიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველ. სსრ. სახელმწიფო რესპუბ
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ხუხაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. ჭიჭინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. კ. ლესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 ამხ. ა. მ. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. არქიპო მირონის ძე **ლაბახუა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 18 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 ამხ. ი. ი. ქედიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. იური ივანეს ძე **ქედიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 18 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 ამხ. ე. მ. ჩიქვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ეთერ მიხეილის ასული **ჩიქვინიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 30 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 „რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის ინფორმაცია „რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ“.

2. აღინიშნოს საქართველოს სსრ ვაჭრობის, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და ცეკავშირის გამგეობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა რესპუბლიკაში დიეტური კვების ორგანიზაციის საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დიეტური კვების ობიექტების ქსელის გასაფართოებლად, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, სათანადო პროდუქტებით უზრუნველსაყოფად, კვალიფიციური კადრების დაკომპლექტებისათვის და მომსახურების კულტურის ასამაღლებლად.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის მასალები სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 29 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 ამხ. გ. ვ. ხომერიკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სოცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გივი ბენიამინის ძე **ხომერიკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** საპატიო **სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 ამხ. გ. მ. ხუხაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი-დრამატურგი გიორგი (გერმანი) მიხეილის ძე **ხუხაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 ამხ. ლ. ა. ჭიჭინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი ლავრენტი ალმასხანის ძე **ჭიჭინაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 17 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ამხ. ო. კ. ლესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამხედრო-პატრიოტული მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის წითელდროშოვანი 26 ბაქოელი კომისრის სახელობის მეთაურთა საარტილერიო სასწავლებლის დივიზიონის მეთაური, პოლკოვნიკი ოთარ კონსტანტინეს ძე **ლესელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ქუთაისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

პანაეტ ივანეს ძე **ბაღათუროვი** — სამოდელო საამქროს მემოდელე.

ბორის ილიას ძე **ვაშაკიძე** — ავტომობილების აწყობისა და გამოცდის საამქროს მძღოლი-გამომცდელი.

კანონი სევერიანეს ძე **ვაწაძე** — კბილმჭრელი.

ვახტანგ ამბაკოს ძე **კინწურაშვილი** — მთავარი მექანიკოსის მოვალეობის შემსრულებელი.

ნოდარ სერაფიონის ძე **კობახიძე** — მთავარი ბუღალტერი.

ჟორა კონსტანტინეს ძე **კოსტავა** — № 1 საწნეხი საამქროს უფროსი.

ციალა ნესტორის ასული **ლოჭოშვილი** — საამქროს მტვიფრავი.

ნიკანდრო დიმიტრის ძე **მანჯგალაძე** — მთავარი ტექნოლოგის მოადგილე.

ნოდარ დავითის ძე **მაჭარაძე** — საწნეხ-საძარო საამქროს მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი.

ავთანდილ ერმილეს ძე **მეტონიძე** — საამქროს უფროსი.

მიხეილ ირაკლის ძე **მოსიძე** — სარემონტო-მექანიკური საამქროს ელექტროშემდუღებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური პავლეს ძე **რომანოვი** — მთავარი ინჟინრის მოადგილე.

მანგური ბაგრატის ძე **სვანიშვილი** — კბილმჭრელი.

ანზორ დიომიდეს ძე **ტატელიშვილი** — ელექტროშემდუღებელი.

აკაკი ონისიმეს ძე **ფურცხვანიძე** — № 1 საამქროს ზეინკალ-მეიარაღე.

გურამ ნესტორის ძე **ფხაკაძე** — ინსტრუმენტების ექსპლუატაციის საამქროს ამლესავი.

შალვა ევგენის ძე **შენგელია** — მჭედელ-მტვიფრავი.

რეზო შალვას ძე **ცხვარაძე** — ტექნიკური მომარაგების განყოფილების მტვირთავი

ვიქტორ აკაკის ძე **ჯალალანია** — სამოტორო საამქროს ძრავის გამომცდელი.

მამია ოველის ძე **ჯულელი** — საამქროს უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

გურამ ნიკოლოზის ძე **აბაშიძე** — ტრესტ „ინჟმშენის“ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

კონსტანტინე აფინადორის ძე **დიდებულიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

ვახტანგ ერმილეს ძე **დიდიძე** — „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

გიორგი შალვას ძე **დოდელია** — „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის მმართველის მოადგილე.

ნოე ნიკოლოზის ძე **ნოზაძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის მეამწე.

ბორის სოლომონის ძე **პაიჭაძე** — „დინამოს“ სპორტკომბინატის დირექტორი.

შევარდენ მიხეილის ძე **სარჯველაძე** — „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ლეონტის ძე **სახელაშვილი** — „საქსპორტრემმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ხურო.

არჩილ გრიგოლის ძე **ჭურდიანი** — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ მთავარი არქიტექტორი.

თამაზ პარმენის ძე **შელეგია** — „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

აკაკი გიორგის ძე **ჭანტურია** — საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 24 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მასწავლებლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისათვის კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მასწავლებლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:

სიმონ იოსების ძე **ნაციაშვილს** — დოცენტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:

თეიმურაზ ლევანის ძე **გიგაურს** — დოცენტს.

ვახტანგ ალექსანდრეს ძე **გიორგობიანს** — კათედრის გამგეს.

ანზორ გაიოზის ძე **გომართელს** — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

გურამ ნიკოლოზის ძე **გურასპაშვილს** — ფაკულტეტის დეკანს.

რენო ვალერიანის ძე **თურქიას** — დოცენტს.

სერგო ამაიაკის ძე **კაშხიანს** — დოცენტს.

რევაზ მაქსიმეს ძე **მეტრეველს** — სწავლების ოსტატს.

გივი ვალერიანის ძე **მიზანდარს** — ფაკულტეტის დეკანს.

ლევან დავითის ძე **მხეიძეს** — **პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.**

№ 9 ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ვლადიმერის ძე **ტუჩაშვილს** — კათედრის გამგეს.

დუხუ გრიგოლის ძე **ქობალიას** — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

ნოდარ ევსევის ძე **ღოღობერიძეს** — კათედრის გამგეს.

რევაზ ალექსანდრეს ძე **ცუცქირიძეს** — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

გოჩა გრიგოლის ძე **წულაძეს** — უფროს მასწავლებელს.

გიორგი ალექსანდრეს ძე **ხალათოვს** — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის:

ტარიელ აპოლონის ძე **ქუთათელაძეს**—ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს.

ნოდარ დიმიტრის ძე **ჯობაძეს** — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

არჩილ დავითის ძე **თუხარელს** — კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

შალვა ონისიმეს ძე **ნაცვლიშვილს** — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

გიზო ვლადიმერის ძე **კუჭუხიძეს** — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ძალოვანი კვანძის სამშენებლო სამმართველოს № 2 უბნის უფროსს.

ნუკრი ალექსანდრეს ძე **ჩხარტიშვილს** — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მაღლივი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს № 3 უბნის უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:

თამარ დავითის ასულ **ბაგაევას** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მუშას.

ხაზბი დოზიციერეს ძე **ბაზროვს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის ხუროს.

ნინო კონსტანტინეს ასულ **გეგეშიძეს** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის ტექნიკოსს.

ხანინ ზელმანის ძე **დაშევსკის** — საქმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქელექტრომონტაჟის" ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირს.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **იახონტოვს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ყოფილი ტრესტის ბრიგადირს.

ომარ იოსების ძე **კაპანაძეს** — საქმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქსანტექმონტაჟის" ზეინკალთა ბრიგადირს.

ანტონინა ტიმოთეს ასულ **კოსტიხს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ყოფილი ტრესტის მუშას.

ომარ ანდრიას ძე **ლიპარტიას** — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს „გვირაბმშენის" სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსს.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ლომიძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ყოფილი ტრესტის მომპირკეთებელს.

ნიკოლოზ მიხეილის ძე **მელიქიშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის სამუშაოთა მწარმოებელს.

ანასტას გიორგის ძე **მელიქოვს** — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მაღლივი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირს.

ზოსიმე ალექსანდრეს ძე **მეტრეველს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ყოფილი ტრესტის მემონტაჟეს.

იონას ბალისის ძე **მიკულინასს** — ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს „გვირაბმშენის" სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირს.

ლეონიდ იაკობის ძე **პაპუნიდის** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 18 ყოფილი ტრესტის ქვის მთლელს.

ნიკოლოზ დიმიტრის ძე **პერეტიატკოს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მეამწეს.

სოფიო პავლეს ასულ **პოპოვას** — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის მებეტონეს.

პავლე ტერენტის ძე **სიროვატკინს** — ტრესტ „სოიუზკისლოროდმონტაჟის" ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელს.

მიხეილ აკიმის ძე **ტრაინინს** — საქმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქსანტექმონტაჟის" შემდუღებელს.

მარიამ ლევანის ასულ **ქანთარიას** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის ოსტატს.

ელენე კონსტანტინეს ასულ **ჭუთათელაძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის ოსტატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტაშ მიხეილის ძე **ჯიშიაშვილს** — საქართველოს სსრ მშენებლობის **სა**-მინისტროს № 14 ტრესტის მებათქაშეს.

დიდიკო კონსტანტინეს ძე **ჯორჯიკიას** — საქმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქსანმონტაჟის" ზეინკალს.

ოვანეს სამსონის ძე **ჯუფალაკიანს** — პენსიონერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 ქუთაისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საავტომობილო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ალექსეევს** — ტექნოლოგიური განყოფილების უფროსს.

სიმონ მიხეილის ძე **ბატიაშვილს** — მთავარ კონსტრუქტორს.

თენგიზ ლევანის ძე **გენძეხაძეს** — მთავარ ინჟინერს.

ჟორეს დიმიტრის ძე **გურგენიძეს** — დირექტორის მოადგილეს.

ოთარ რაჟდენის ძე **დათეშიძეს** — საამქროს უფროსის მოადგილეს.

ბეჟან რომანის ძე **კობახიძეს** — მთავარ მეტალურგს.

ნოდარ გრიგოლის ძე **ჩაგანავას** — საამქროს უფროსის მოადგილეს.

დავით პეტრეს ძე **ჩილინგარაშვილს**—ნორმატივების ბიუროს უფროსს.

ვახტანგ ივანეს ძე **ხარებავას** — ქარხნის დირექტორს.

გიორგი პლატონის ძე **ჯინჯიხაძეს** — საამქროს უფროსს.

საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის:

სერგო ექვთიმეს ძე **ბარდაველიძეს** — საამქროს უფროსს.

მოსე თევდორეს ძე **ბენიძეს** — საამქროს უფროსს.

ტიტიკო კონსტანტინეს ძე **გეგუჩაძეს** —ხარატს.

ნოდარ სიმონის ძე **კიკნაძეს** — საამქროს უფროსს.

დიმიტრი თევდორეს ძე **კონსტანტინოვს** — საამქროს უფროს ოსტატს.

ტიტიკო ენუქის ძე **მანოსიანს** — № 2 საამქროს მეკოპეს.

მიხეილ მიხეილის ძე **სისვაძეს — საამქროს უფროს ოსტატს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ირაკლის ძე **შვანგირაძეს** — საამქროს უფროს ოსტატს.

ვახტანგ გერასიმეს ძე **ჩაჩხიანს** — საამქროს უფროსს.

დიმიტრი ლუკას ძე **ჯავახაძეს** — № 2 სასხმელი საამქროს საყალიბო განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 23 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის:

გიორგი არჩილის ძე **ქურდიანს** — სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:

შალვა ვლადიმერის ძე **გაზაშვილს** — ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ მთავარ კონსტრუქტორს.

ვლადიმერ ტროფიმეს ძე **გოგოლაძეს** — „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის მმართველს.

ფარნაოზ ალექსანდრეს ძე **მათიაშვილს**—„თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:

გიორგი მიხეილის ძე **გელაშვილს** — „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეარმატურეს.

გივი სიმონის ძე **ტყეშელაშვილს** — ტექსაწარმოების ხარისხის კომბინატის შემდუღებელ-მეარმატურეს.

ტერენტი ტროფიმეს ძე **შარამკოვს** — „საქსპორტრემმშენის“ № 5 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მშენებელ ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 24 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე 1976 წლის 29 სექტემბერს განიხილა საკითხი მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო და გურჯაანის რაიონის ადგილობრივი საბჭოების სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო და გურჯაანის რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებსა და კანონებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ, სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად იხილავენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს.

საკითხების მომზადებაში ფართო მონაწილეობას ღებულობენ მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი. საბჭოების უმრავლესობას გამოაქვს საქმიანი, კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რომელთა დიდი ნაწილი დროულად სრულდება. გაუმჯობესდა სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილია კომისია, რომელიც სისტემატურად ამოწმებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობას.

მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებით ქალაქ ზუგდიდისა და გურჯაანის რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის გეგმები. გადაჭარბებითაა აგრეთვე შესრულებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ამასთან, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო და გურჯაანის რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააჩნიათ არსებითი ნაკლოვანებანი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. რიგ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს იღებენ საკითხის წინასწარ სათანადოდ შესწავლის გარეშე, რის შედეგად გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ღონისძიებანი შეუსრულებელი რჩება. ჯერ კიდევ საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ, რათა მათ განუხრელად შეასრულონ სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებები.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ვერ უზრუნველყო „ქ. ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლებისას შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 24 დეკემბრის დადგენილების და ამ საკითხზე მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება, სესიის გადაწყვეტილება ორგანიზაციებს არც კი დაეგზავნა მაშინ, როდესაც ქალაქ ზუგდიდში კვლავ ადგილი აქვს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების დარღვევით მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის ფაქტებს.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1975 წლის 13 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობისათვის წარმოება-ორგანიზაციათა თანხების ერთობლივი გამოყენების შესახებ. მაგრამ იმის გამო, რომ საკითხი წინასწარ არ იყო შესწავლილი და ამასთან აღმასრულებელმა კომიტეტმა სათანადო კონტროლი არ დააწესა მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე, ბევრმა წარმოება-ორგანიზაციამ გადაწყვეტილება არ შეასრულა.

არის შემთხვევები, როცა აღმასკომები ერთსა და იმავე საკითხს რამდენჯერმე იხილავენ, გადაწყვეტილებებს განმეორებით იღებენ, მაგრამ საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება (გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის სასოფლო საბჭოს აღმასკომი).

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის საკითხს იხილავს თავის სხდომაზე მოვალეობის ფორმალურად მოხდის მიზნით (გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სასოფლო საბჭოს აღმასკომი).

გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი კანონით დაწესებული ვადების დარღვევითაა დაგზავნილი ორგანიზაციებში.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სესიებისა და აღმასკომის სხდომების მომზადებას და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას. ამ საქმეში ნაკლებადაა ჩაბმული მუდმივი კომისიები, დეპუტატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომი სუსტ კონტროლს უწევს ქვემდგომი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო და გურჯაანის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს: საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად განიხილონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები, მათ მომზადება-განხილვაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განსახილველი საკითხების წინასწარ შესწავლას, ამასთან, მიიღონ გადაწყვეტილებანი რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით; მიაღწიონ იმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დეპუტატებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, ყოველი სესიის შემდეგ ხვდებოდნენ მათ, აცნობდნენ საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და რაზმავდნენ მოსახლეობას მათ შესასრულებლად. სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი და სათანადო კონტროლი დააწესონ მათ დროულად განხორციელებაზე. მტკიცედ დაიცვან კანონის მოთხოვნა გადაწყვეტილებების შემსრულებამდე დაყვანის და განხილვის შედეგებზე პასუხების მიღების შესახებ და შემოიღონ გადაწყვეტილებათა შესრულების აღრიცხვა.

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა სისტემატური დახმარება გაუწიოს ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მუშაობაში, რეგულარულად შეამოწმოს თუ როგორ სრულდება ქვემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა უნდა შეამოწმონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 29 სექტემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 347 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისიდან		31
ქ. ტყიბულიდან		3
ქ. ფოთიდან		2
ახალქალაქის	რაიონიდან	14
ახმეტის	„	12
ბოგდანოვკის	„	8
ბოლნისის	„	9
გარდაბნის	„	66
გეგეჭკორის	„	16
დუშეთის	„	7
ზუგდიდის	„	16
თელავის	„	2
ლაგოდეხის	„	8
მარნეულის	„	40

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის	რაიონიდან	2
ორჯონიკიძის	„	2
საგარეჯოს	„	20
საჩხერის	„	7
სამტრედიის	„	5
ქარელის	„	25
ყვარლის	„	13
ჩხოროწყუს	„	5
ცხაკაიას	„	3
წალენჯიხის	„	14
წულუკიძის	„	4
ხაშურის	„	3
ხობის	„	6
ცაგერის	„	4
სამხრეთ ოსეთის ა/ო		4

*
* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 29 სექტემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 306 კაცი:

ქ. თბილისის პირველი მაისის	რაიონიდან	7
ქ. თბილისის კალინინის	„	108
ქ. თბილისის ორჯონიკიძის	„	18
ქ. ქუთაისიდან		23
ახალქალაქის	რაიონიდან	9
ახალციხის	„	8
ახმეტის	„	25
ლანჩხუთის	„	23
მახარაძის	„	18
მცხეთის	„	21
ცხაკაიას	„	34

კ. მარქსის სახ. საკ. ბ
სახელმწიფო რესპუბლ
ბიბლიოთეკა